ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7126406

ნომერი: AR11000300

თარიღი : 16.11.2023

გაცემის თარიღი : 11.07.2024

გაცნობის თარიღი : 15.07.2024

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნოდარ ბოხუას ქუჩა N10;

დამკვეთი-განმცხადებელი

- პაატა სვანიძე პ/ნ 01003021229
- მარშალ გელოვანის გამზირი4ა. ბინა22.

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: მ-1/161
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 24.10.2006

.არსებობის შემთხვევაში სამსახურის მიერ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: N138
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 27.04.2021

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური შენობა (ბლოკი ა) ,,დასრულებული"
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გიორგი გიორგაძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "მეტტა"

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "დიღომი დისთრიქთ აფართმენთს"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204514926
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: მაია რჩეულიშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01017003383

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 10527.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 865.7
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 12041.7
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 7272.4
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 541.1
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 2011.3
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 1064.2
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 40.0
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 1112.7
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 34165.5
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 29878.5
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 4287.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 46.2
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 42.9
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 3.3
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : ა) 903.9/10527=0.1; ბ) 1 051.9/10 527=0.1; გ) 832.8/10 527=0.1; დ) 862.1/10527=0.1
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : ა) 9034/10527=0.9; ბ) 14 340.30/10 527=1.4; გ) 10 624.50/10 527=1.0; დ) 8291.9/10527=0.8
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 1024:10527=0.1

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 1663768
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 29.12.2014

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 1663768
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 29.12.2014

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების და „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა

თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

01... საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი.-> .გენერალური გეგმის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით.:
.. განსხვავებული ფერით გამოყავით და დანომრეთ წარმოდგენილი ბლოკისთვის განკუთვნილი ავტოსადგომები.

02... ვინაიდან სამშენებლო სამუშაოები ნაწარმოებია შეთანხმებული პროექტის დარღვევით, საჭიროა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული დადგენილება სამშენებლო– სამართალდარღვევის საქმეზე და შესაბამისი დარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. საჭიროების შემთხვევაში, დარღვევით ნაწარმოები მშენებლობის საექსპერტო (კონსტრუქციული) დასკვნა, დამოწმებული სპეციალისტის (ექსპერტის) მიერ და ინფორმაცია შემსრულებლის (ექსპერტის) კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ.

03... ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). -> .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). :
.. ყველა ბლოკის კ-1 და კ-2 კოეფიციენტის ფართობების ჯამი ასახეთ კოეფიციენტში.

04... ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). :

შეავსეთ ველი წარმოდგენილი კროკის შესაბამისად. მიუთითეთ მთლიანი ნაკვეთის კ-3 გამწვანებული ფართობი და ასახეთ კოეფიციენტში.

05... შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი.:

საჭიროა მოეწყოს კიბის უჯრედებში კარები და დაცული იქნას დაუკვამლიანებელი კიბის პრინციპი შეთანხმებული პროექტის შესაბამისად.
ტერასის მოწყობის შემთხვევაში სართულიანობა აჭარბებს გრგ-თი განსაზღვრულ12 სართულს. შეუსაბამეთ სართულიანობა დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმას. მოხსენით დასახელება და ფართობი. მოაწყეთ გადახურვა.
საზაფხულო ფართობი დაკორექტირდეს ასევე ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებელში.

06... შენობა-ნაგებობის ჭრილები, მასშტაბი 1:100. -> .ჭრილების pdf ფაილი.:
ჭრილებზე მიუთითეთ საკადასტრო საზღვრიდან საპროექტო შენობამდე მანძილები.

07... შენობა-ნაგებობის ფასადები, მასშტაბი 1:100. -> .ფასადების pdf ფაილი.:

წარმოდგენილი სახით გათბობა-გაგრილების გარე აგრეგატების განთავსება არ არის მისაღები. კონდიცირების გარე აგრეგატები და გათბობა-გაგრილების დანადგარები უნდა განთავსდეს ექსტერიერის ვიზუალურად ნაკლებად აღქმად ნაწილებზე, ერთიანი მოწესრიგებული სახით. ასეთ შემთხვევაში, საჭიროა მათი შემოსვა-შენიღბვა დეკორატიული ელემენტებით (ჟალუზი, ეკრანი და სხვა) და მათი არქიტექტურულ-მხატვრული მხარის ფასადებთან ერთად ერთიან სისტემაში გადაწყვეტა.

08... .შეთანხმებული პროექტის ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედები. *
წარმადგინეთ 1663768 ბრძანებით შეთანხმებული მონტაჟები და აქსონომეტრიული ხედები

09... საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის საექსპერტო შეფასება. -> .საექსპერტო შეფასების pdf ფაილი.:

შეასწორეთ სპეციალისტის მონაცემების ველები. წარმოადგინეთ ექსპერტის პირადობის და ხარისხის დამადასტურებელი საბუთები და ექსპერტის საკვალიფიკაციო მონაცემები.

არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს. გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.